- What are the benefits of using flying laboratories?
- Real experiment condition
- Attractiveness
- Real facilities and devices
- Efficiency
- Practical skills development
- Student oriented teaching and others

What fields and sub-fields can we use it on?




Figure 3 – Taxonomy of flying laboratories categorization and use in aviation field

To conduct in-flight test, is it possible to use for all the level education, for instance:

- Regular student lessons
- Student projects
- Diploma projects
- Doctoral student research
- Other student activity.

## Research Methodology

To fulfil the objectives, the research based on the following methodology: Analysis, synthesis, qualitative, and comparison methods. There are following open question for the further development flying laboratories:

- What is the structure of flying laboratories?
- What is the development process procedures?
- How, when, where, who will develop them?

There are the possible actions to be done in order to answer the open questions:

- Give specific samples of usage flying laboratories in flight tests in education;
- Present possibilities their applications;
- Familiarization with flying laboratories.

It is as well critical to be downed the following myths: In-flight tests are always very expensive, flying laboratory is always very sophisticated facility, In-flight tests require staff having extraordinary skill, there is no possibility to involve them into standard student courses and other tasks what need the right sharing of the information's, for this purposes should be done proper consulting, mailing, students groups with competent information, preparation of information booklets, special guidelines, use of flying laboratories in practices and their impact assessment to the quality of education and outcomes of the educational programs.

## Early Results

In order to asses flying laboratories role and get results, it is important to analyses their use in real environment to the aerial vehicles, based on the research it is possible to compare two case studies, and overview the general structure of the flying laboratories development in teaching methodology and in aviation projects:




Figure 4 – General structure of flying laboratories operation

### Case study of Poland



Figure 5 - Optionally Piloted Vehicle (MTOW 495kg, Max. Airspeed (Vne) 270 km/h  
Min. Speed 65 km/h 2 seats)

### Research and education

- Flight tests of control laws for ultralight aircraft
- Tests of heavier onboard equipment
- Activities for 4 students at the same time – two person on board the aircraft and two persons in the car (ground station)
- Relatively low operating costs

### Objectives of the research

- Aircraft handling qualities assessment in selected flight phases
- In-flight test maneuvers preparation
- In-flight experiments and data analyzes
- Handling characteristic during typical flight phases (horizontal flight, coordinated turn).
- Static and dynamic stability tests.
- Aircraft characteristics during landing at different configurations.

Research results and outcomes of the experiment is provided on the figure 6.




Figure 6 - Longitudinal stability tests



Figure 7 - Piper Seneca V (MTOW: 2155 kg, Never exceed speed: 378 km/h, 6 seats)

#### **Research and education**

- Flight tests of control laws for general aviation planes
- Tests of heavier onboard equipment
- Activities for small group of students – six persons on board the aircraft

#### **Objectives of the research**

- Investigation of general aviation aircraft performances
- In-flight test maneuvers preparation
- In-flight experiments and data analyzes
- Max speed at horizontal flight investigation
- Climb rate investigation
- Stall speed investigation.

Research results and outcomes of the experiment is provided on the figure 8.




Figure 8 - Climb rate tests results

### Case study of Georgia



Figure 9 - Tecnam P2008JC (MTOW 650 kg, Max cruise speed 215 km/h)

Min. Speed 81 km/h, 2 seats)

#### Research and education

- Tests of Tecnam P2008JC flight parameters
- Take-off performance comparison analysis with weight 630 kg and 530 kg [4]

#### Objectives of the research

- Investigation of general aviation aircraft flight performances
- In-flight experiments and data analyzes operation performance with different load

Research results and outcomes of the experiment is provided on the figure 10.



Weight = 530 kg		Corrections				
Flaps: T/O		Headwind: - 5m for each kt (16 ft/kt)				
Speed at Lift-Off = 48 KIAS		Tailwind: + 15m for each kt (49 ft/kt)				
Speed Over 50ft Obstacle = 61 KIAS		Paved Runway: - 10% to Ground Roll				
Throttle Levers: Full Forward		Runway slope: + 7% to Ground Roll for each +1%				
Runway: Grass						
Pressure Altitude [ft]		Distance [m]				ISA
		Temperature [°C]				
		-25	0	25	50	
S.L.	Ground Roll	88	111	137	167	127
	At 50 ft AGL	190	237	290	349	268
1000	Ground Roll	96	121	150	182	136
	At 50 ft AGL	207	258	315	379	287
2000	Ground Roll	105	133	164	198	146
	At 50 ft AGL	225	280	342	412	307
3000	Ground Roll	115	145	179	217	157
	At 50 ft AGL	245	305	373	448	328
4000	Ground Roll	126	158	195	237	168
	At 50 ft AGL	266	332	406	488	352
5000	Ground Roll	137	173	214	259	181
	At 50 ft AGL	290	361	442	532	377
6000	Ground Roll	150	189	234	284	195
	At 50 ft AGL	316	394	482	580	404
7000	Ground Roll	165	207	256	311	210
	At 50 ft AGL	345	430	526	632	434
8000	Ground Roll	181	227	280	340	226
	At 50 ft AGL	376	469	574	690	466
9000	Ground Roll	198	249	308	373	243
	At 50 ft AGL	411	512	626	754	500
10000	Ground Roll	217	273	337	409	262
	At 50 ft AGL	449	560	685	824	537

Weight = 630 kg		Corrections				
Flaps: T/O		Headwind: - 5m for each kt (16 ft/kt)				
Speed at Lift-Off = 48 KIAS		Tailwind: + 15m for each kt (49 ft/kt)				
Speed Over 50ft Obstacle = 61 KIAS		Paved Runway: - 10% to Ground Roll				
Throttle Levers: Full Forward		Runway slope: + 7% to Ground Roll for each +1%				
Runway: Grass						
Pressure Altitude [ft]		Distance [m]				ISA
		Temperature [°C]				
		-25	0	25	50	
S.L.	Ground Roll	134	169	208	252	192
	At 50 ft AGL	283	352	431	518	398
1000	Ground Roll	146	184	227	275	206
	At 50 ft AGL	307	383	468	564	426
2000	Ground Roll	159	201	248	301	221
	At 50 ft AGL	334	417	509	613	456
3000	Ground Roll	174	219	271	328	237
	At 50 ft AGL	364	453	554	667	488
4000	Ground Roll	190	240	296	359	255
	At 50 ft AGL	396	493	603	726	523
5000	Ground Roll	208	262	323	392	274
	At 50 ft AGL	431	538	657	791	561
6000	Ground Roll	228	287	354	429	295
	At 50 ft AGL	470	586	717	862	602
7000	Ground Roll	249	314	388	470	317
	At 50 ft AGL	513	639	782	941	645
8000	Ground Roll	273	344	425	515	342
	At 50 ft AGL	560	698	853	1027	693
9000	Ground Roll	300	377	466	565	368
	At 50 ft AGL	611	762	932	1122	744
10000	Ground Roll	329	414	511	620	397
	At 50 ft AGL	668	833	1019	1226	800

Figure 10 - Tecnam P2008JC take-off performance comparison analysis results with weight 630 kg and 530 kg



Figure 11 - Tecnam P2006T (MTOW 1230 kg, Max cruise speed 269 km/h)  
Min. Speed 115 km/h, 4 seats)

### **Research and education**

- Tests of Tecnam P2006T flight parameters
- Single Engine Instrument Approach Procedure TEST

### **Objectives of the research**

- Investigation of general aviation twin engine aircraft flight performance
- To develop the student's ability to shoot an approach with one engine inoperative, and maintain positive control of the aircraft. [3]

**Research results and outcomes of the experiment is provided as errors calculated and analyzed during flight by student:**

- Failure to maintain proper heading
- Failure to maintain aircraft control
- Failure to maintain proper glide slope and LOC (localizer)
- Failure to understand the proper procedures of an instrument approach [1] [2]

## **Conclusions**

Based on the research and investigation and cases studies analysis in two different educational facilities in Poland and Georgia, it is possible to conclude, that flight laboratories have very important and positive role in aviation related projects and teaching methodology development. It is very flexible to use this method into different airplane get parameters by the students, make analysis of them and strengthen theoretical knowledge into the practical part of the following educational courses: Aircraft control systems, flight recorders and data analyses, aviation radio systems, In-flight tests, aerodynamics and others.

Flight laboratories use is possible in real experiment conditions, has high attractiveness from students, students has direct connection with real facilities and devices by their hands, non-complex platform are necessary, supplementary devices are used, gives students opportunity to generate new ideas, practical part has becoming more efficient, as a result myths regarding useless of such method into educational process is down.

## **ACKNOWLEDEMENTS**

This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [YS-21-483].

## References

- [1] Type-certificate data sheet EASA.A.185 P2006T
- [2] Type-certificate data sheet EASA.A.185 P2006T
- [3] Tecnam P2006T Operating Manual
- [4] Tecnam P2008JC Operating Manual
- [5] Doc 9750-AN/963, 2016–2030 Global Air Navigation Plan. ICAO.
- [6] International Standards and Recommended Practices, *ICAO Annex 19 to the Convention on International Civil Aviation*.
- [7] Nika Tikanashvili doctoral thesis “Implementation of innovative technologies in the air traffic management system taking into account human factors in order to ensure the safety of flights” scientific supervisors: DScTech, Professor Sergo Tepnadze., and Dr.habil.sc.ing., Professor Igor Kabashkin., Tbilisi 2019.

## სასწავლო ლაბორატორიების როლი საავიაციო პროექტების და სწავლების მეთოდოლოგიის განვითარების პროცესში.

### პოლონეთის და საქართველოს შემთხვევების კვლევა

ავტორები: ტომაშ როგალსკი<sup>1</sup>, ნიკა თიკანაშვილი<sup>2</sup>

<sup>1</sup>ჟემუვის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, 1235 პოსტანჩოვ ვარშავის ქუჩა, ჟემუვი, პოლონეთი N 959

ტელ. +48 17 8651477, მეილი: [orakl@prz.edu.pl](mailto:orakl@prz.edu.pl)

<sup>2</sup> საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო, 0103 ქეთევან დედოფლის გამზირი N 16

ტელ. +995 595 04 08 08, მეილი: [n.tikanashvili@ssu.edu.ge](mailto:n.tikanashvili@ssu.edu.ge)

**რეზიუმე:** ავიაცია ყველაზე დინამიკურ და სწრაფად განვითარებად სატრანსპორტო დარგს წარმოადგენს, ძლიერ ავიაციას აქვს გადამწყვეტი როლი ქვეყნის სიძლიერის და ეკონომიკურ განვითარების შენარჩუნების საქმეში. საავიაციო სისტემა პირდაპირ დაკავშირებულია ტრანსპორტის სხვა დარგების განვითარებასთან. საავიაციო სისტემაში სახელმწიფო პასუხისმგებლობა საჰაერო მოძრაობის მართვის და რეგულირების საკითგებზე აერთიანებს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების როლს, რომლებიც ფლობენ და მართავენ აეროპორტების უმეტესობას. მსოფლიოს მასშტაბით ფრენების ინტენსივობის მუდმივი ზრდა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციებს, რათა მოხდეს ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა და შემდეგი ზომების მიღება: საჰაერო ხომალდების ფრენის სიმაღლეების გაზრდა, საჰაერო სივრცის გამტარუნარიანობის ამაღლება, სატელიტური ნავიგაციის აქტიური

გამოყენება აფრენა-დაფრენის ეტაპებზე, ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესება, მარშრუტების ოპტიმიზაცია ფრენის დროის დაზოგვის მიზნით, დაფრენის ტრაექტორიების გაუმჯობესება დასახლებულ პუნქტებზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირების მიზნით (ემისიები, ხმაური) და სხვა.

ზემოაღნიშნული ტექნოლოგიური ცვლილებები გავლენას მოახდენს საავიაციო სპეციალისტების კვალიფიკაციის დონეზე, როგორც ჰაერში, ასევე ხმელეთზე და გამოიწვევს მათი ცოდნისა და პასუხისმგებლობის ფორმირებას, ასევე მოითხოვს ახალი უნარების განვითარებას. სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, ფრენების ინტენსივობის ზრდის და ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარების ტემპის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, კვალიფიციური და კომპეტენტური საავიაციო დარგის სპეციალისტთა შესაბამისი მომზადების შემდგომი განვითარება უსაფრთხო და ეფექტური საავიაციო სისტემის უზრუნველსაყოფად. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია საავიაციო დარგის საგანმანათლებლო პროგრამებში ინოვაციური, პრაქტიკული და ლაბორატორიული სწავლების მეთოდოლოგიის ეფექტური ინტეგრირება, ახალი ტექნოლოგიური გარემოს მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

კვლევაში გაანალიზებულია საავიაციო განათლების თანამედროვე მოთხოვნები და ტექნოლოგიური განვითარების ტენდენციები, წარმოდგენილია სხვაობა ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარების ტემპსა და საგანმანათლებლო პროგრამებში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მეთოდოლოგიას შორის, პოლონეთის და საქართველოს მაგალითებზე დაყრდნობით. სტატია ითვალისწინებს სასწავლო ლაბორატორიების გამოყენების რეკომენდირებულ კონცეფციას, როგორც საავიაციო პროექტების განხორციელებისა და სწავლების მეთოდოლოგიის განვითარების ერთ-ერთ საფუძველს.

**საკვანძო სიტყვები:** საავიაციო განათლება, სასწავლო ლაბორატორიები, სწავლების მეთოდოლოგია, ინოვაციური ტექნოლოგიები.

## ნახვრეტის მქონე მართკუთხა ფირფიტის სიმტკიცეზე ანგარიში ღერძული დატვირთვების შემთხვევაში

ს. ტეფნაძე<sup>1</sup>, ს. ბლიაძე<sup>2</sup>

<sup>1,2</sup>საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი


თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი № 16, 0103 საქართველო

**რეზიუმე:** საავიაციო კონსტრუქციების უმრავლესობა წარმოადგენს ძაბვათა კონცენტრაციის არეს, საკმარისია განვიხილოთ მოქლონებით ან ჭანჭიკებით შეერთება. ძაბვათა თავმოყრა ძირითადად გვხვდება, არა მხოლოდ სიხისტეთა მკვეთრი ცვლილების არეში, არამედ ნახვრეტების მიდამოში. კონცენტრაციის ამოცანას გადაწყვეტას კიდევ უფრო ართულებს მასზე მოსული დატვირთვების რთული ბუნება. აღნიშნულ სტატიაში განხილულია ღერძული დატვირთვების ქვეშ მყოფი უსასრულო ფირფიტა ცენტრალური ნახვრეტით. ეს ამოცანა პირველად დრეკადობის კლასიკური თეორიის ფარგლებში ამოხსნილი იყო კირშის მიერ, ხოლო, ცოტა მოგვიანებით ამოხსნის სხვა ვარიანტი შემოგვთავაზა ნ. მუსხელიშვილმა. სტატიის მიზანს წარმოადგენს პროგრამულ კომპლექს MASTRAN-ში და საპროგრამო ენა MATLAB-ში შევქმნათ საანგარიშო მოდელი, რომლის ამონახსენი მაღალი სიზუსტით მიუახლოვდება ანალიზურ ამონახსნს.

**საკვანძო სიტყვები:** ძაბვა, კონცენტრატორი, სიხისტე, სასრული ელემენტი.


### ძირითადი ნაწილი

განვიხილოთ ნახვრეტიანი ფირფიტა რომელზედაც  $\sigma_x$  ღერძის გასწვრივ მოქმედებს გამჭიმავი ძალა (ნახ.1). ვთქვათ, ნახვრეტის  $a$  რადიუსი რამდენიმეჯერ მცირეა ფირფიტის სიგანეზე, მაშინ შეიძლება ჩაითვალოს, რომ გვაქვს უსასრულო ფირფიტა (ზოლი), რომელიც გაჭიმულია  $\sigma_x = \sigma$  ძაბვით და გააჩნია ნახვრეტის  $a$  რადიუსი (ნახ. 1)




ნახ.1 ძაბვის განაწილება


დეკარტულ სისტემაში ეს იქნება  $\sigma_y$  და  $\sigma_x$  ძაბვების ეპიურები. ნახვრეტის კონტურის ირგვლივ  $\sigma_\theta$  გამჭიმავი და მკუმშავი ძაბვების განაწილება ნაჩვენებია (ნახ. 2).



ნახ. 2 გამჭიმავი და მკუმშავი ძაბვების განაწილება



ნახ. 3 ნახვრეტთან  $\sigma_\theta$  ძაბვების განაწილება



ნახ. 4. ფირფიტა ნახვრეტით


თუ  $\sigma$  ძაბვაზე დავადებთ კუმშვას ( $-\sigma$ ) პერპენდიკულარული მიმართულებით, მაშინ ფირფიტა მთლიანობაში განიცდის სუფთა ძვრას მხებ ძაბვასთან  $\tau = \sigma$ . ნახვრეტთან  $\sigma_\theta$  ძაბვების განაწილება ნაჩვენებია (ნახ.3) კონცენტრაციის კოეფიციენტი გაჭიმვისას ნახვრეტთან არის 3, ხოლო სუფთა ძვრისას - 4, [2]. მოცემულია ფოლადის ფირფიტა  $400 \times 200 \times 1$  მმ ცენტრში ნახვრეტით რომლის დიამეტრია 50 მმ, რომელზედაც მოქმედებს გამჭიმავი ძალა 100 კნ. (იხ. ნახ. 4).

მასალის მექანიკური მახასიათებლები: დრეკადობის მოდული ტოლია  $E = 200$  მგპ. პუასონის კოეფიციენტი  $\mu = 0.25$ .

სასრულ ელემენტთა ბაზაზე შექმნილ საინჟინრო საანგარიშო პროგრამა Femap-ში ავაგოთ შესაბამის გეომეტრიული ზომების ფირფიტა. მოდელირება მოვახდინოთ 4 კვანძიანი ოთხკუთხა სასრული ელემენტით. აღნიშნული ფირფიტა 2 განსხვავებული მეთოდით დავყოთ სასრულ ელემენტებად - ბადედ. ბადე ოპტიმალურია თუ ანგარიშის შემდგომ თითოეული ელემენტი არ მოიცავს 4 ფერზე მეტს 16 ფერიდან და ელემენტის გეომეტრიული ზომების შეფარდება არ აღემატება 2-ს. ჩვენი მიზანია კირპის ამოცანის პროგრამული ანგარიში სასრულ ელემენტთა ბადის 2 სხვადასხვა ვერსიით და საანგარიშო პროგრამების FEMAP და MATLAB პროგრამებში მოდელირებით. მოვახდინოთ შედარებითი ანალიზი ანალიზურად ამოხსნილ შედეგთან და მოვახდინოთ ცდომილებათა ხარისხის

განსაზღვრა ორივე შემთხვევისათვის. თავდაპირველად, საანგარიშო მოდელზე სასრულ ელემენტთა ბადის გენერირება მოვახდინოთ ავტომატურად, ელემენტის ზომად მივანიჭოდ 2. ამ მეთოდით შექმნილი მოდელის ანგარიშის შედეგის ცდომილობა არის 5%, კირშის ამოცანის თეორიულად მიღებულ ამონახსნთან შედარებით.

განვიხილოთ ალტერნატიული სასრულ ელემენტთა ბადე, ფირფიტაზე გამოვყოთ 35 მმ რადიუსის მქონე წრეწირი, რათა ნახვრეტის გარშემო შევქმნათ ერთგვარი რგოლი. ვინაიდან, ნახვრეტი არე წარმოადგენს ჩვენს ინტერესს (კონცენტრაცია), ამიტომ დაყოფის ბიჯი იყოს მცირე. ამრიგად, რგოლი დავეყოთ 128 სასრულ ელემენტად, შემდგომ ბადის გენერირება მოვახდინოთ ფირფიტის მეოთხედ ნაწილზე. მეოთხედი ნაწილი დავეყოთ 2 ნაწილად, რომელთაგან, ერთი ნაწილი შეიცავს რკალს, ხოლო, მეორე - კვადრატული ფორმისაა. რაც შეეხება რკალის შემცველი ფიგურას, თავდაპირველად, დავეყოთ თვითონ რკალი  $128/4=32$  ელემენტად, ხოლო, რკალის თავიდან და ბოლოდან გამოსული მონაკვეთები თანაბარი რაოდენობით ისე, რომ ბიჯი რკალთან იყოს მცირე, ხოლო, მეორე ბოლოსკენ იზრდებოდეს. დანარჩენი მონაკვეთების ელემენტებთა რაოდენობად მივუთითოთ 24, აღვნიშნოთ, რომ მათი ბიჯი არათანაბარია. ელემენტების ზომების შეფარდება თავსა და ბოლოში ტოლია 2-ის. ჩვენ შემთხვევაში რკალებთან დაყოფა დიდია ე.ი. ელემენტები პატარა. მოვახდინოთ ზედაპირის აპროქსიმაცია სამი წერტილით: წვერო და რკალის საწყისი და საბოლოო წერტილები. შემდეგ კი უშუალოდ ვახდენთ ბადის გენერირებას, ელემენტების ზომების ფარდობა არ აღემატება 2-ს, აგრეთვე დავეყოთ კვადრატული ზედაპირის ყოველი გვერდი 24 ელემენტად და მოვახდინოთ ბადის გენერირება, ამით მეოთხედი ფირფიტა დაფარულია სასრულ ელემენტთა ბადით, ელემენტებად დაყოფილი ნაწილი ავსახოთ ჯერ ჰორიზონტალურად, შემდეგ ვერტიკალურად. საბოლოოდ, მოვახდინოთ ამ ოთხი ნაწილისა და რგოლის კვანძების (შეკერვა) გაერთიანება და გვექნება შემდეგი სურათი (ნახ. 5).




ნახ. 5 სასრულ ელემენტოვანი ბადე


### ჩამაგრება და დატვირთვები:

განვიხილოთ ჩამაგრებისა და დატვირთვების ორი ვარიანტი: 1. ჩავამაგროთ ფირფიტა ისე, რომ მარცხენა მხარეს მის კვანძებს X ღერძის გასწვრივ გადაადგილება შეეზღუდოს, ამასთან არ შეეძლოს მობრუნება. ყველა კვანძს, გარდა ერთისა, შეეძლება გადაადგილება Y ღერძის მიმართ, რაც იმას ნიშნავს, რომ ფირფიტას შეუძლია კუმშვა, ე.ი. გაჭიმვის დროს შეეძლება ფირფიტას სიგანეში შეკუმშვა. კირშის ამოცანის პირობიდან გამომდინარე, დატვირთვა მოდებულია წრფეზე, პროგრამა Femap-ს აქვს შესაძლებლობა

ძალა მოვდოთ წრფეზე საერთო დატვირთვით 100000 ნ და პროგრამა თვითონ გადაანაწილებს მას კვანძებზე. ამისათვის საჭიროა ამ კვანძების ასოცირება სასურველ წრფესთან. 2. ამ შემთხვევაში ჩამაგრება მოვახდინოთ დამატებით ფირფიტის სიგრძის მიმართაც, ხოლო საწინააღმდეგო კიდეზე მოვდოთ იგივე დატვირთვა. რაც შეეხება მოდელირებას პროგრამა მატლაბში ამოიხსნა ელიფსური ტიპის დიფერენციალური განტოლება (იუნგის მოდული და პუასონის კოეფიციენტები იგივეა), ხოლო სასაზვრო პირობად მიუთითეთ დირიხლეს პირობა (იხ. ნახ.6 და ნახ. 7)




ნახ. 6 ელიფსური ტიპის დიფ. განტოლება



ნახ. 7 დირიხლეს პირობა


### ანგარიში (ამოხსნა)

ძაბვის საშუალო მნიშვნელობა ტოლია  $100000/200=500$  პა. პროგრამული ამონახსენები იწილეთ ნახ. 8, ნახ. 9 და ნახ. 10




ნახ. 8 ძაბვის ამონახსენების მნიშვნელობა მატლაბში





ნახ. 9 ძაბვის ამონახსნების მნიშვნელობა ნასტრანში



ნახ. 10 ძაბვათა მნიშვნელობა ფირფიტის ოთხივე კიდეზე გამჭიმავი ძალების შემთხვევაში

### დასკვნა

რიცხვითი ექსპერიმენტიდან გამომდინარე შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა, ანალიზური ამოხსნის მიხედვით ძაბვთა კონცენტრაციის არეში ძაბვის მნიშვნელობა ტოლია  $500 \cdot 3 = 1500$  პა. ნასტრანში და მატლაბში მოდელირებულმა ფირფიტის ამონახსნის მნიშვნელობა ტოლია 1520 პა. ცთომილება ანალიზურ ამონახსნებთან შეადგენს 1,3% ეს იმ შემთხვევაში როდესაც გამოყენებული არაა იზოპარამეტრული ოთხკუთხა ელემენტები. რაც შეეხება ფირფიტის ანალიზს, როდესაც ოთხივე კიდეზე მოქმედებს გამჭიმავი ძალა ძაბვათა თავმოყრა მოხდა ფირფიტის გრძელი კიდის ბოლოში ნაცვლად ნახვრეტის მიდამოსი, რიცხობრივად იგი შეადგებს დაახლოებით სამჯერ მეტს ვიდრე ძაბვის საშუალო მნიშვნელობა.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- [1] - ს.ბლიაძე, ზ. სესკურია, კონსტრუქციების მოდელირება და სტრუქტურული ანალიზი MSC/NASTRAN v.4-ში. გამ. „თბილისი“, 2008 წ. 339 გვ;
- [2] - А.В. Александров, В.Д. Потанов Основы теории упругости и пластичности. М. “Вишяя школа” 1990г. 400стр;
- [3] - А.Г. Щербо. Основы теории упругости и пластичности. Новосибирси ПГУ 2008г. 240стр;
- [4] - В.И. Самуль. Основы теории упругости и пластичности. М. “Вишяя Школа” 1992г;
- [5] - H. Jane Helena, Theory of elasticity and plasticity PHI learning 2017y 264p.

## Analysis on strength of the rectangular plate with a hole in case of axial loads

S. Tepnadze<sup>1</sup>, S. Bliadze<sup>2</sup>

<sup>1,2</sup>Georgian Aviation University

Ketevan Dedopali Ave. 16, 0103, Tbilisi, Georgia<sup>1</sup>

### Abstract

The vast majority of aviation structures are areas of stress concentration, it is sufficient to consider riveted or bolted connections. The concentration of stresses mainly found, not only in the area of sharp changes in stiffness, but also in the area of holes. Solving the task of concentration made even more difficult by the complex nature of the loads that come to it. In this article, an inelastic plate with a central half-section under axial loads discussed. This problem was solved for the first time within the framework of the classical theory of elasticity by Kirsch and other version of the solution was proposed by N. Muskhelishvili. The purpose of the article is the software complex MASTRAN and In the MATLAB programming language, we will create an analytical model, the solution of which will approach the analytical solution with high accuracy. As the numerical experiments showed, the calculation scheme modeled in both programs gave us a 1.3% error with respect to the exact solution.

## ელიფსური ნახვრეტის მქონე მართკუთხა ფირფიტის სიმტკიცეზე ანგარიში ღერძული დატვირთვების შემთხვევაში

ს. ტეფნაძე<sup>1</sup>, ს. ბლიაძე<sup>2</sup>

<sup>1,2</sup>საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი


თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი № 16, 0103 საქართველო

**რეზიუმე:** საავიაციო კონსტრუქციის პროექტირების პროცესში ძაბვათა ველის სრულყოფილი შესწავლა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა წარმოადგენს. ძაბვათა კონცენტრაციის ველის არასრული შესწავლა ყოფილა არაერთი კატასტროფის მიზეზი, პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით ძაბვათა თავმოყრა ძირითადად გვხვდება, არა მხოლოდ სიხისტეთა მკვეთრი ცვლილების არეში, არამედ ნახვრეტების მიდამოში. შევნიშნოთ, რომ ძაბვათა თავმოყრის ანალიზისთვის განმსაზღვრელია ნახვრეტის ფორმა. აღნიშნულ სტატიაში განხილულია ღერძული დატვირთვის ქვეშ მყოფი უსასრულო ფირფიტა ცენტრალური ელიფსური ნახვრეტით. ეს ამოცანა პირველად დრეკადობის კლასიკური თეორიის ფარგლებში ამოხსნილი იყო რუსი მეცნიერის გ. კოლოსოვის მიერ 1909 წ. [6], ხოლო, ცოტა მოგვიანებით ამოხსნის სხვა ვარიანტი შემოგვთავაზა ინგლისელმა მეცნიერმა კ. ინგლისმა 1913 წ. [7]. სტატიის მიზანს წარმოადგენს პროგრამულ კომპლექს MASTRAN-ში შექმნათ საანგარიშო მოდელი, რომლის ამონახსენი მაღალი სიზუსტით მიუახლოვდება ანალიზურ ამონახსნს და დავადგინოთ თანაფარდობა ელიფსის ნახევარღერძებსა და თავმოყრილ ძაბვათა მნიშვნელობებს შორის.

**საკვანძო სიტყვები:** ძაბვა, კონცენტრატორი, სიხისტე, სასრული ელემენტი.

### ძირითადი ნაწილი


განვიხილოთ ელიფსური ნახვრეტის მქონე ფირფიტა რომელზედაც  $\sigma_0$  ღერძის გასწვრივ მოქმედებს გამჭიმავი ძალა (ნახ.1). სადაც ელიფსის  $l$  და  $b$  ნახევარღერძები შესაბამისად ტოლია 50 და 25 მმ - ის. თუ ნახვრეტის ნახევარღერძები რამდენიმეჯერ მცირეა ფირფიტის სიგანეზე, მაშინ შეიძლება ჩაითვალოს, რომ გვაქვს უსასრულო ფირფიტა.



ნახ.1 ფირფიტის გეომეტრია და ჩამაგრება

განვიხილოთ ფირფიტა, რომელიც გაჭიმულია  $\sigma_x = \sigma$  ძაბვით. ანალიზური ამოხსნის ველი იხ. ნახ. 2 -ზე, და ნახ. 3 -ზე სადაც  $\sigma_0$  წარმოადგენს ფირფიტის საშუალო ძაბვას ნახვრეტის გარეშე [8].

კოლოსოვ-ინგლისის თეორიით აღმოჩნდა, რომ ყველაზე საშიში პიკური ძაბვები განისაზღვრება ხვრელის გამრუდებით, ხოლო წვეროებზე, სადაც გამრუდება მაქსიმალურია, მათ შეუძლიათ მიაღწიონ მნიშვნელობებს რომლებიც მრავალჯერ აღემატება ძაბვის მნიშვნელობებს მყარ ფირფიტაში:




ნახ.2 ძაბვათა განაწილება

$$\sigma_y = \sigma_0 \left( 1 + \frac{2l}{b} \right).$$

მოყვანილი ფორმულის მიხედვით, ძაბვები ვიწრო ელიფსის წვეროებზე ( $l/b$  – დიდია) შეიძლება გახდეს ძალიან დიდი. თუ ფორმულაში შევიყვანთ  $\rho$  სიდიდეს, რომელსაც ეწოდება სიმრუდის რადიუსი კვეთის წვეროზე, მივიღებთ:

$$\sigma_y = \sigma_0 \left( 1 + 2 \sqrt{\frac{l}{\rho}} \right).$$



ნახ. 3 ანალიზური ამონახსნი

აღმოჩნდა, რომ ამ ფორმულით ძაბვათა კონცენტრაციის გამოთვლა გამოიყენება არა მხოლოდ ელიფსური ხვრელების, არამედ ნებისმიერი ფორმის ხვრელებისთვის, რომელთა კონტურზე არის წერტილები სიმრუდის მცირე რადიუსით. რა თქმა უნდა, რეალურ მასალაში ძაბვები შეიძლება გაიზარდოს გარკვეულ ზღვრებამდე და ზემოთმოყვანილი ფორმულა არ შეიძლება გამოყენებულ იქნას დამატებითი ანალიზის გარეშე. ძაბვის კონცენტრაცია გულდასმით უნდა იყოს გათვალისწინებული სიმტკიცის გამოთვლებში. პროფესორ კ. ინგლისის წყალობით, შემოვიდა ცნება "ძაბვის კონცენტრაცია" რიცხვს, რომელიც გვიჩვენებს, რამდენჯერ აღემატება ლოკალური ძაბვები ნომინალურს, ეწოდება ძაბვის კონცენტრაციის ფაქტორი. განვიხილოთ მაგალითი: მოცემულია ფოლადის ფირფიტა  $400 \times 200 \times 3$  მმ ცენტრში ელიფსური ნახვრეტით, რომლის ნახევარღერძებია 50 მმ და 25 მმ, რომელზედაც მოქმედებს გამჭიმავი ძალა 150 კნ. (იხ. ნახ. 1.) მასალის მექანიკური მახასიათებლები: დრეკადობის მოდული ტოლია  $E = 200$  გპა. პუასონის კოეფიციენტი  $\mu = 0.3$ , სასრულ ელემენტთა ბაზაზე შექმნილ საინჟინრო საანგარიშო პროგრამაში Femap ავაგოთ შესაბამის გეომეტრიული ზომების ფირფიტა (იხ. ნახ.1). მოდელირება მოვახდინოთ 4 კვანძიანი ოთხკუთხა სასრული ელემენტით. ელიფსური ნახვრეტის გარშემო შევქმნათ ელიფსი ნახევარღერძებით 65 მმ და 35 მმ შექმნილი არე. დავყოთ მაქსიმალურად მცირე ოთკუთხედებად, სადაც გვერდების შეფარდება ნაკლები იქნება 2 - ზე დანარჩენ არეზე ბადე შედარებით გავზარდოთ.

### მასალა და თვისების მინიჭება

მასალის დრეკადობის მოდული ტოლია  $E = 200$  გპა. პუასონის კოეფიციენტი  $\mu = 0.3$ , ფირფიტის გეომეტრიული ზომები  $400 \times 200 \times 3$  მმ.

### ჩამაგრება და დატვირთვები:


ძაბვათა ველის სრულყოფილი შესწავლის მიზნით განვიხილოთ ორი შემთხვევა:

1. ჩავამაგროთ ფირფიტა ისე, რომ მარცხენა მხარეს მის კვანძებს X ღერძის გასწვრივ გადაადგილება შეეზღუდოს, ამასთან არ შეეძლოს მობრუნებაც. ყველა კვანძს, გარდა ერთისა, შეეძლება გადაადგილება Y ღერძის მიმართ, რაც იმას ნიშნავს, რომ ფირფიტას შეუძლია კუმშვა, ე.ი. გაჭიმვის დროს შეეძლება ფირფიტას სიგანეში შეკუმშვა. Femap-ს აქვს შესაძლებლობა ძალა მოვდოთ წრფეზე საერთო დატვირთვით 100000 ნ და პროგრამა თვითონ გადაანაწილებს მას კვანძებზე. ამისათვის საჭიროა ამ კვანძების ასოცირება საჭირო წრფესთან.

2. ამ შემთხვევაში ჩამაგრება და დატვირთვები მსგავსად პირველი შემთხვევისა განვახორციელოთ ფირფიტის ორ მეზობელ კიდეზე ხოლო დანარჩენ ორ კიდეზე მოვდოთ გამჭიმავი დატვირთვები.

### ანგარიში (ამოხსნა)

ნახ. 4 და ნახ. 5 წარმოდგენილია რიცხვითი ექსპერიმენტის შედეგები ჩამაგრებისა და დატვირთვების პირველი შემთხვევისათვის სადაც ფირფიტის პარალელურ წიბოებზე მოქმედებს გამჭიმავი ძალები. ძაბვების საშუალო მნიშვნელობა ტოლია  $1000/200 \cdot 3 = 166.67$  პა.



ნახ. 4 ძაბვები ox ღერძის მიმართულებით დატვირთვის შემთხვევაში  
ნახ. 5 ძაბვები ox და oy ღერძების მიმართულებით დატვირთვის შემთხვევაში

## დასკვნა

ანალიზური ამოხსნების შედეგებისა და რიცხვითი ექსპერიმენტის შედეგების ანალიზმა გვაჩვენა, რომ თუ ფირფიტის ზედაპირის აპროქსიმაციას მოვახდენთ სხვადასხვა ზომის 4 - კვანძიანი ოთხკუთხა ელემენტებით ცდომილება ანალიზურ ამონახსნთან მიმართ პრაქტიკულად 0-ის ტოლია და ასევე თუ ელიფსის ნახევარღერძების შეფარდება ერთმანეთთან ორის ტოლია, მაშინ დაბვის მნიშვნელობა პარაბოლის წვეროებზე იზრდება შვიდჯერ. რიცხვითმა ანალიზმა გვაჩვენა რომ, ვიწრო ელიფსის შემთხვევაში დაბვის მნიშვნელობა წვერზე დიდია და შესაძლებელია იგი მიისწრაფოდეს უსასრულობისაკენ. რაც შეეხება მეორე შემთხვევას (ფირფიტის ოთხივე კიდეზე მოქმედებს გამჭიმავი ძალები) ჩვეულებრივი ელიფსის შემთხვევაში დაბვათა თავმოყრა მოხდა  $\sigma_x$  ღერძის გასწვრივ ჩამაგრების მარჯვენა კიდეზე.

### გამოყენებული ლიტერატურა:

- [1] - ს.ბლიაძე, ზ. სესკურია, კონსტრუქციების მოდელირება და სტრუქტურული ანალიზი MSC/NASTRAN v.4-ში. გამ. „თბილისი“, 2008 წ. 339 გვ;
- [2] - А.В. Апекашдров, В.Д. Потанов Основы теории упругости и пластичности. М. “Вишяя школа” 1990г. 400стр;
- [3] - А.Г. Щербо. Основы теории упругости и пластичности. Новосибирси ПГУ 2008г. 240стр;
- [4] - В.И. Самуль. Основы теории упругости и пластичности. М. “Вишяя Школа” 1992г;
- [5] - Н. Jane Helena, Theory of elasticity and plasticity PHI learning 2017y 264p;
- [6] - Колосов Г. В. Об одном приложении теории функций комплексного переменного к плоской задаче математической теории упругости. - Юрьев: Типография К. Матгисена, 1909. - 187 с;
- [7] - Inglis C. E. Stresses in a plate due to the presence of cracks and sharp corners // Trans. Inst. Naval Arch. - 1913. - 105, pt 1. - P. 219 – 230;
- [8] - ს.ნ. ბლიაძე, ს.ს. ბლიაძე, ნ.ს. ბლიაძე. ელიფსური ნახვრეტის მქონე ფირფიტის მოდელირება ღერძული დატვირთვის შემთხვევაში პლასტიკური დეფორმაციის გათვალისწინებით. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „საჰაერო ტრანსპორტი“, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი, №1(17) 2023 წ. 13-18 გვ.

## Analysis on strength of the rectangular plate with an elliptical hole in case of axial loads

S. Tepnadze<sup>1</sup>, S. Bliadze<sup>2</sup>

<sup>1,2</sup>Georgian Aviation University

Ketevan Dedopali Ave. 16, 0103, Tbilisi, Georgia

### Abstract

In the process of designing the aviation structure, the complete study of the stress field is one of the most important problems. Incomplete study of the stress concentration field has been the cause of many disasters. In this article, an inelastic plate with a central elliptical cross section under axial load discussed. The purpose of the article is to create an analytical model in the software complex MASTRAN, the solution of which will approach the analytical solution with high accuracy, and to determine the ratio between the semi-axes of the ellipse and the value of the stress concentration. The results of the analytical solution and the analysis of the results of numerical experiment showed us that if we approximate the surface of plate with 4-node quadrilateral elements of different sizes (it is not necessary to use 8 nodes quadrilateral elements) the error compared to the analytical solution is practically equal to 0, and also if the ratio of semi-axes of the ellipse is equal to two, then the value of stress at the vertices of parabola increases 7 times. Numerical analysis showed us that, in the case of a narrow ellipse, the value of stresses at the tip is large, and it is possible that it tends to infinity when the ellipse tends to the crack. As for the second case (tensile forces act on all four edges of the plate), in the case of a normal ellipse, the stresses were concentrated along the ox axis at the right edge of the attachment.



## მასალის რეოლოგიური პარამეტრების განსაზღვრა გაუმჯობესებული მეთოდით ცოცვადობის პროცესის მაგალითზე

ბიძინა აბესაძე<sup>1</sup>, საბა კოპალიანი<sup>2</sup>

<sup>1,2</sup>საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი

თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი № 16, 0103 საქართველო

**რეზიუმე:** წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია დრეკად-პლასტიკური თვისებების მქონე მასალების, რეოლოგიური ფუნქციების პარამეტრების განსაზღვრის განახლებული მეთოდიკა ცოცვადობის პროცესის მაგალითზე. მიდგომა დაფუძნებულია ე.წ. მემკვიდრეობის თეორიის გამოყენებაზე, რომლის ფარგლებშიც გრაფიკების შეთავსების მეთოდით განისაზღვრება მასალის რეოლოგიური ფუნქციების პარამეტრები ( $A, \alpha, \beta$ ) [1, 2]. არსებული დამკვიდრებული მიდგომით გრაფიკების შეთავსება ხდება ხელით დახაზული წირების ერთმანეთთან ვიზუალური დამთხვევის გზით, რაც ადამიანური ფაქტორის გათვალისწინებით მნიშვნელოვან ცდომილებებთან არის დაკავშირებული. წინამდებარე შრომაში [6] წარმოდგენილი განახლებული მეთოდიკა მოიცავს გრაფიკების ზუსტად აგებას სხვადასხვა კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით, ხოლო მათი შეთავსება ხდება უმცირეს კვადრატთა მეთოდის ანალოგიური მიდგომით.

კვლევის პროცესში გამოიყენება რეოლოგიური ფუნქციების თეორიული გრაფიკების და ცხრილის სახით გამოსახული მნიშვნელობების არსებული ბაზა [1], რომელიც მნიშვნელოვანია, თუმცა არასაკმარის ინფორმაციას შეიცავს. ამ ბაზის გაფართოების მიზნით შეიქმნა გარკვეული პროგრამები „Maple“-ს ბაზაზე და შემუშავდა მეთოდიკა რთული მათემატიკური გამოსახულებების, რიცხვითი მეთოდებით, მარტივად დათვლის მიზნით, კომპლექსურ სიბრტყეზე გადასვლის გზით.

არსებული კომპოზიტური მასალის ექსპერიმენტული კვლევის მონაცემების საფუძველზე გაუმჯობესებული შეთავსების მეთოდის გამოყენებით მოხდა გრაფიკების დამთხვევის სიზუსტის განმსაზღვრელი შემასწორებელი კოეფიციენტების გამოთვლა და განსხვავებების პროცენტული შეფასება.

**საკვანძო სიტყვები:** კომპოზიტური მასალა, რეოლოგია, ცოცვადობა, გავლენის ფუნქცია, დეფორმაცია.

### შესავალი

დრეკად-პლასტიკური თვისებების მქონე მასალები, როგორცაა სხვადასხვა სახის პლასტიკები ან მათ ბაზაზე შექმნილი კომპოზიტური მასალები [3, 4, 5], დატვირტვების პირობებში ავლენენ დეფორმაციის რთულ სურათს, რაც გამოიხატება მათ რეოლოგიურ ხასიათში. მარტივ შემთხვევაში - ცოცვადობის და რელაქსაციის პროცესებში [1].

მემკვიდრეობის წრფივი თეორიის ფარგლებში, შემოდის გავლენის და რელაქსაციის ფუნქციები, რომელთა საშუალებითაც აღიწერება დეფორმაციის და დატვირტვების რეოლოგიური ხასიათი. მათგან გამორჩეულია ცოცვადობის პროცესი, რომელიც გულისხმობს მასალის დეფორმაციის დროში ცვლადობის აღწერას მუდმივი სიდიდის დატვირტვის შემთხვევაში და გამოისახება (1) დამოკიდებულებით:

$$\varepsilon(t) = \frac{\sigma_c}{E} \left[ 1 + \int_0^t K(t - \tau) d\tau \right], \quad (1)$$

სადაც  $\sigma_c$  მუდმივი დატვირთვაა,  $E$  – დრეკადობის მოდული, ხოლო  $K(t - \tau)$  – გავლენის ფუნქცია.

(1) ინტეგრალური განტოლების გულის რამდენიმე ფორმა არსებობს. წარმოდგენილ კვლევაში გამოყენებულია მ. კოლტუნოვის მიერ [1, 2] განსაზღვრული გამოსახულება:

$$K(t - s) = \frac{e^{-\beta(t-s)}}{(t-s)} \sum_{n=1}^{\infty} \frac{[\Gamma(\alpha)]^n (t-s)^{n\alpha}}{\Gamma(\alpha n)} \quad (2)$$


ფორმულა (2) შეიცავს სამ დამოუკიდებელ  $A, \alpha$  და  $\beta$  პარამეტრს. რომელთა კონკრეტული მნიშვნელობების განსაზღვრა ნიშნავს კონკრეტული მასალის რეოლოგიური ფუნქციების პოვნას.

შემდგომში, (1) გამოსახულების ანალოგიურად, სხვადასხვა პროცესების აღწერისას გამოიკვეთება სიდიდე  $\int_0^t K(t - \tau) d\tau$ , რომელიც წარმოადგენს წმინდად თეორიულ ფუნქციას. შექმნილია გარკვეული ბაზა, სადაც კონკრეტული სხვადასხვა ( $A, \alpha$  და  $\beta$ ) პარამეტრებისთვის წარმოდგენილია თეორიული გრაფიკების ოჯახები და ფუნქციათა მნიშვნელობების გამომსახველი ცხრილები [1]. ეს ბაზა, მიუხედავად მონაცემების სიმრავლისა, არ არის სრულყოფილი. თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკა და პროგრამები იძლევა ამ ბაზის მნიშვნელოვნად გაფართოების საშუალებას. ამ პროცესში აქტიურად იქნა გამოყენებული პროგრამა „Maple“, მისი დიდი შესაძლებლობების მიუხედავად, შეიქმნა გარკვეული პრობლემა (1) გამოსახულებაში ინტეგრალის აღების თვალსაზრისით, რადგანაც ინტეგრალქვეშა გამოსახულება, რომელიც (2) ფორმულითაა მოცემული ერთ-ერთ საზღვარზე სუსტი სინგულარობის გამო ხდება განშლადობა, პირდაპირ რიცხვითი მეთოდებით დათვლის პროცესში. ასევე უსასრულო ჯამი თავის მხრივ შეიცავს ეილერის  $\Gamma$  ფუნქციების კომბინაციას, რომელიც მნიშვნელოვნად ართულებს გამოთვლებს. მოფიქრებული იქნა პროცედურა, რომელიც სინგულარობის თავიდან აცილების საშუალებას იძლევა, კომპლექსურ სიბრტყეზე გადასვლის გზით (სურ. 1), ასევე (1) გამოსახულებაში მარტივი გარდაქმნით დროთა სხვაობის ფუნქცია შეიძლება შეიცვალოს ერთი ცვლადის ფუნქციად. ეს გარდაქმნები წარმოდგენილია (3) და (4) ფორმულების სახით:

$$K(\vartheta) = \frac{e^{-\beta\vartheta}}{\vartheta} \sum_{n=1}^{\infty} \frac{[\Gamma(\alpha)]^n \vartheta^{n\alpha}}{\Gamma(\alpha n)} \rightarrow K'(\vartheta) = \frac{e^{-\beta\vartheta}}{\vartheta - i \cdot \varepsilon} \sum_{n=1}^{\infty} \frac{[\Gamma(\alpha)]^n \vartheta^{n\alpha}}{\Gamma(\alpha n)} \quad (3)$$

$$\int_0^t K(t - \tau) d\tau = \int_0^t K(\vartheta) d\vartheta = \lim_{\varepsilon \rightarrow 0} \int_0^t K'(\vartheta) d\vartheta \quad (4)$$

რიცხვითი მეთოდებით დათვლებისას დამაკმაყოფილებელ რეზულტატს იძლევა  $\varepsilon \sim 10^{-120}$  მიახლოება, რომლის დროსაც პროგრამულად დათვლის სისწრაფე და დათვლილი ინტეგრალის სიდიდის (მიღებული კომპლექსური რიცხვის ნამდვილი ნაწილი) ცდომილება ზუსტ შედეგთან მიმართებით გონივრულ ფარგლებშია. ძველი და გაუმჯობესებული მეთოდებით დათვლილი შედეგები წარმოდგენილია ცხრ. 1, 2, 3-ში.




სურ. 1 კომპლექსურ სიბრტყეზე გადასვლა

### 1. ექსპერიმენტული და თეორიული მრუდების შეთავსების ზოგადი შემთხვევა

წარმოდგენილი კვლევის პროცესში ხდება ექსპერიმენტული და თეორიული მონაცემების ამსახველი გრაფიკების შეთავსება, რაც გულისხმობს მათ მაქსიმალურად ერთმანეთთან დამთხვევას. შეთავსება ხდება ლოგარითმულ სკალაზე, სადაც გრაფიკები გამოსახულია ერთი და იგივე მასშტაბში. ერთ-ერთი მრუდის მოძრაობით ჰორიზონტალური და ვერტიკალური მიმართულებით ხდება მეორესთან დამთხვევა, ხოლო გადაადგილების პარამეტრები დამატებით მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა განსახილველი პროცესის აღწერის შესახებ. თუ მაგალითად თეორიული და ექსპერიმენტული მრუდები ანალიზურად განისაზღვრება, შესაბამისად,  $f(t_{th})$  და  $f(t_{exp})$  ფუნქციებით, მაშინ ლოგარითმულ სკალაზე მათი შეთავსებისას (სურ. 2) მივიღებთ შემდეგ დამოკიდებულებას:

$$\ln[f_{exp}(\ln t_{exp})] = \ln[f_{th}(\ln t_{th} - \ln k)] + \ln a = \ln\left(a \cdot f_{th}\left(\ln \frac{t_{th}}{k}\right)\right) \quad (5)$$



სურ. 2 თეორიული და ექსპერიმენტული მრუდების შეთავსება ლოგარითმულ სკალაზე

(5) გამოსახულებიდან მარტივად ჩანს კავშირი თეორიულ და ექსპერიმენტულ ფუნქციებს შორის:

$$f_{exp}(t_{exp}) = a \cdot f_{th}\left(\frac{t_{th}}{k}\right) \quad (6)$$

$a$  და  $k$  სიდიდეები უშუალოდ განისაზღვრება გრაფიკებიდან. კონკრეტული ამოცანის პირობიდან გამომდინარე შესაძლებელია მოხდეს თეორიული მრუდის მოძრაობა აღწერილი დამოკიდებულებების ანალოგიურად.

გაუმჯობესებული მიდგომით გრაფიკების შეთავსების არსი მდგომარეობს იმაში რომ შეთავსების  $a$  და  $k$  პარამეტრები მაქსიმალურად ზუსტად განისაზღვროს არა უშუალოდ გრაფიკებიდან, არამედ ანალიზურად. უნდა მოხდეს კონკრეტული პროცესის ამსახველი თეორიული და ექსპერიმენტული ფუნქციების ანალიზური ჩაწერა. მიუხედავად იმისა, რომ თეორიული მრუდის ანალიზური სახე არის განსაზღვრული, მაგალითად (1) გამოსახულების სახით, მისი გამოყენება შემდგომი დათვლებისთვის არ არის მოხერხებული. ამიტომ სასურველია ის შეიცვალოს რაიმე  $n$  რიგის პოლინომის  $P_n(t)$  სახით, რომლის კოეფიციენტები განისაზღვრება წინასწარ შერჩეულ  $n + 1$  წერტილზე ფუნქციისა და პოლინომის დამთხვევის პირობიდან მიღებული განტოლებათა სისტემის ამოხსნის შემდეგ:

$$P_n(t_i) = f_{th}(t_i) \text{ ან } P_n(\ln t_i) = \ln f_{th}(\ln t_i), i = 1 \dots n + 1 \quad (7)$$

თეორიულ ფუნქციასა და შესაბამის პოლინომის მაქსიმალურად დამთხვევისთვის სასურველია  $n$  იყოს დიდი, ხოლო  $t_i$  წერტილების საზღვრები მოექცეს განსახილველი ამოცანის მიხედვით მოცემულ დროის შუალედს გარეთ, რადგანაც წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში, კონკრეტული მაგალითისთვის, მოხდება თეორიული მრუდის მოძრაობა, რომელიც გლუვია და შესაძლებელია არგუმენტის წანაცვლება განსახილველი არის გარეთ ისე, რომ არ მოხდეს ექსტრაპოლაცია და ზუსტი მნიშვნელობებიდან გადახრა.

რაც შეეხება ექსპერიმენტულ მრუდს, ის უნდა აიგოს ექსპერიმენტულ წერტილებზე, რომელიც გარკვეული ცდომილებით არის გაბნეული. გასაშუალებული მრუდი უნდა აიგოს უმცირეს კვადრატთა მეთოდის გამოყენებით, რომელიც აპროქსიმირდება  $m$  რიგის პოლინომზე  $P_m(t)$ . ამ შემთხვევაში სასურველია  $m$  იყოს მცირე რადგან მრუდი გამოვიდეს გლუვი და არ გადაიხაროს გაბნეულ ექსპერიმენტულ წერტილებზე. ვინაიდან ექსპერიმენტული მრუდი განსახილველი დროის შუალედის გარეთ ვერ გაგრძელდება ექსტრაპოლაციის გარეშე ამიტომ მხოლოდ შუალედის შიდა წერტილებზე უნდა მოვახდინოთ ოპერირება. სწორედ ამიტომ სასურველია გრაფიკების შეთავსების პროცესში ექსპერიმენტული მრუდი დარჩეს უძრავად.

ამის შემდეგ წინასწარ განსაზღვრულ  $N$  რაოდენობის წერტილისთვის უნდა შედგეს (5) გამოსახულების შესაბამისად შემდეგი გამოსახულება:

$$S_N = \sum_{i=1}^N [P_n(\ln t_i + \ln k) - \ln a - P_m(\ln t_i)]^2 \rightarrow \min \quad (8)$$

გრაფიკების იდეალური დამთხვევის შემთხვევაში ცხადია (8) გამოსახულება იქნება 0-ის ტოლი, მაგრამ პრაქტიკაში ასე არ მოხდება. წარმოდგენილი სტრატეგია მსგავსია უმცირეს კვადრატთა მეთოდის, იმისათვის, რომ (8) ჯამი გახდეს მინიმალური საჭიროა შესრულდეს პირობა:

$$\frac{\partial S_N}{\partial(\ln a)} = 0 \text{ და } \frac{\partial S_N}{\partial(\ln k)} = 0 \quad (9)$$

შედეგად მიიღება ორი განტოლება ორი უცნობით, რომლის ამონახსნის შემდეგ ცალსახად განისაზღვრება  $a$  და  $k$  სიდიდეები. (9) გამოსახულებით განსაზღვრული განტოლებები არის რთული, მაღალი ხარისხის პოლინომური ან ტრანსცენდენტული სახის. ანალიზურად მათი ამოხსნა რთულია ან შეუძლებელი, თუმცა თანამედროვე კომპიუტერული პროგრამებით, მაგალითად „Maple“, რიცხვითი მეთოდებით ამოხსნა სირთულეს არ წარმოადგენს.

## 2. ცოცვადობის მრუდების შეთავსება გაუმჯობესებული მეთოდით

განვიხილოთ მაგალითი, რომელიც მოიცავს კომპოზიტური მასალის ΠΒΠ (3 წლის) სამ სხვადასხვა მუდმივ გამჭიმავ ძაბვაზე ცოცვადობაზე გამოცდის შედეგების [1] საფუძველზე მისი რეოლოგიური პარამეტრების და შემასწორებელი კოეფიციენტების განსაზღვრას, გაუმჯობესებული მეთოდის გამოყენებით. ექსპერიმენტული გამოცდის შედეგები, ასევე ძველი და ახალი მეთოდით განსაზღვრული თეორიული ფუნქციების მნიშვნელობები მოცემულია ცხრილებში 1, 2, 3. თითოეული ძაბვისთვის ცოცვადობაზე გამოცდის შემდეგ მიღებულ ექსპერიმენტულ შედეგებზე დაყრდნობით, გრაფიკების ვიზუალურად შერჩევის გზით, განსაზღვრულია თეორიული ფუნქციების (გავლენის ფუნქცია)  $(A, \alpha, \beta)$  პარამეტრები. მიჩნეულია რომ წარმოდგენილ შემთხვევაში თანხვედრა კარგია, თუმცა (4) მეთოდით დათვლილი მნიშვნელობები მცირედით განსხვავდება ძველი მეთოდით დათვლის მნიშვნელობებს. შესაბამისად დამატებით საჭიროა შემასწორებელი კოეფიციენტების განსაზღვრა, რომელსაც მოვახდენთ ნაშრომში აღწერილი მექანიზმით. ცოცვადობის პროცესის აღწერისას ვსარგებლობთ (1) გამოსახულებით, საიდანაც

$$\frac{\varepsilon(t) - \varepsilon_0}{\varepsilon_0} = \int_0^t K(t - \tau) d\tau \quad (10)$$

სადაც,  $\varepsilon_0 = \frac{\sigma_c}{E}$  არის საწყისი დეფორმაცია.

ცხრ. 1 ΠΒΠ მასალის ცოცვადობაზე გამოცდის ექსპერიმენტის შედეგები  $\sigma_c = 22$  კგძ/სმ<sup>2</sup> ძაბვის დროს

დრო $t$ (სთ)	$\alpha = 0.075; \beta = 0.05; A = 0.035$ $\sigma_c = 22$ კგძ/სმ <sup>2</sup>			
	$\varepsilon(t)$	$\frac{\varepsilon(t) - \varepsilon_0}{\varepsilon_0}$	$\int_0^t K d\tau$ (ძველი მეთოდით)	$\int_0^t K d\tau$ (ახალი მეთოდით)
0	0.00385	0		
0.25	0.00617	0.6025	0.6192	0.7180
0.5	0.00639	0.6597	0.6852	0.7846
1.0	0.00701	0.8207	0.8361	0.8593
1.5	0.00752	0.6532	0.9616	0.9068
2.0	0.00763	0.9818	0.9937	0.9420
3.0	0.00777	1.0182	1.0355	0.9937
5.0	0.00789	1.0493	1.0626	1.0606
20.0	0.00797	1.0701	1.1157	1.2232
30.0	0.00874	1.1662	1.1958	1.2532
45.0	0.00842	1.1870	1.2101	1.2716
50.0	0.00844	1.1922	1.2173	1.2746

ცხრ. 2 PIBI მასალის ცოცვადობაზე გამოცდის  
ექსპერიმენტის შედეგები  $\sigma_c = 33$  კგძ/სმ<sup>2</sup> ძაბვის დროს

დრო $t$ (სთ)	$\alpha = 0.10; \beta = 0.05; A = 0.047$ $\sigma_c = 33$ კგძ/სმ <sup>2</sup>			
	$\varepsilon(t)$	$\frac{\varepsilon(t) - \varepsilon_0}{\varepsilon_0}$	$\int_0^t K d\tau$ (ძველი მეთოდით)	$\int_0^t K d\tau$ (ახალი მეთოდით)
0	0.00577	0		
0.25	0.00960	0.6637	0.6961	0.6810
0.5	0.01014	0.7574	0.7828	0.7646
1.0	0.01072	0.8578	0.9206	0.8622
1.5	0.01103	0.9116	0.9516	0.9263
2.0	0.01166	1.0208	1.0353	0.9751
3.0	0.01202	1.0831	1.1068	1.0484
5.0	0.01229	1.1282	1.1477	1.1470
20.0	0.01335	1.3136	1.4228	1.4086
30.0	0.01372	1.4228	1.4455	1.4624
45.0	0.01395	1.4255	1.4432	1.4973
50.0	0.01461	1.4547	1.4846	1.5032

ცხრ. 3 PIBI მასალის ცოცვადობაზე გამოცდის  
ექსპერიმენტის შედეგები  $\sigma_c = 44$  კგძ/სმ<sup>2</sup> ძაბვის დროს

დრო $t$ (სთ)	$\alpha = 0.10; \beta = 0.05; A = 0.050$ $\sigma_c = 44$ კგძ/სმ <sup>2</sup>			
	$\varepsilon(t)$	$\frac{\varepsilon(t) - \varepsilon_0}{\varepsilon_0}$	$\int_0^t K d\tau$ (ძველი მეთოდით)	$\int_0^t K d\tau$ (ახალი მეთოდით)
0	0.00770	0		
0.25	0.01340	0.7415	0.7579	0.7562
0.5	0.01408	0.8285	0.8309	0.8536
1.0	0.01484	0.9273	0.9312	0.9684
1.5	0.01497	0.9442	0.9553	1.0447
2.0	0.01550	1.0129	1.0216	1.1032
3.0	0.01600	1.0779	1.1887	1.1917
5.0	0.01640	1.1298	1.1429	1.3123
20.0	0.01764	1.2857	1.2910	1.6419
30.0	0.01830	1.4285	1.4586	1.7125
45.0	0.01909	1.4792	1.4819	1.7592
50.0	0.01939	1.5182	1.6136	1.7673

როგორც აღინიშნა, უნდა მოხდეს თეორიული და ექსპერიმენტული წერტილების აპროქსიმირება გარკვეული ხარისხის პოლინომებზე. ანალოგიური საკითხის განხილვისას წინა კვლევის ანალოგიურად ამ შემთხვევაშიც მოვახდინოთ თეორიული მრუდის აპროქსიმირება მე-7 რიგის პოლინომამდე ხოლო ექსპერიმენტული მრუდი მე-4 რიგამდე. უნდა შედგეს (8) გამოსახულებით განსაზღვრული ჯამი და ამოიხსნას (9) განტოლებათა სისტემა. სამივე ცხრილის მონაცემებზე დაყრდნობით. განისაზღვრა თეორიული და ექსპერიმენტული მრუდების შეთავსებისას შემასწორებელი კოეფიციენტები, რომლებიც მოცემული ამოცანისთვის ითვლებოდა როგორც  $a = 1$  და  $k = 1$ . გაუმჯობესებული მეთოდის გამოყენებით დათვლის შემდგომ ისინი ღებულობს მნიშვნელობებს:

$\sigma_c = 22$  კგ/სმ<sup>2</sup>-თვის  $a = 0.8882$  და  $k = 0.8153$ , რაც ძველი მეთოდით დათვლის შედეგებისგან განსხვავდება, შესაბამისად, 11%-ით და 18%-ით.

$\sigma_c = 33$  კგ/სმ<sup>2</sup>-თვის  $a = 0.9107$  და  $k = 0.5873$ , რაც ძველი მეთოდით დათვლის შედეგებისგან განსხვავდება, შესაბამისად, 9%-ით და 41%-ით.

$\sigma_c = 44$  კგ/სმ<sup>2</sup>-თვის  $a = 0.8827$  და  $k = 0.9440$ , რაც ძველი მეთოდით დათვლის შედეგებისგან განსხვავდება, შესაბამისად, 12%-ით და 6%-ით.

## დასკვნა

კომპოზიტური მასალების რეოლოგიური პარამეტრების განსაზღვრის და შემასწორებელი კოეფიციენტების პოვნის წარმოდგენილი მეთოდიკა, რომელიც გულისხმობს თეორიული და ექსპერიმენტული მრუდების შეთავსების გაუმჯობესებულ ანალიზურ მეთოდს, იძლევა საშუალებას მნიშვნელოვნად გაიზარდოს გრაფიკების შეთავსების პარამეტრების განსაზღვრის სიზუსტე. სიზუსტის ხარისხი დამოკიდებულია აპროქსიმაციის პოლინომის რიგის სიდიდეზე. შესაბამისად რთულდება ანალიზური ამონახსნების პოვნაც, თუმცა ამოხსნა შესაძლებელია.

თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკის და პროგრამების გამოყენებით რთული გამოთვლების ჩატარება მნიშვნელოვნად არის გაადვილებული, ამიტომ მსგავსი ანალიზური კვლევის მეთოდის გამოყენება გამართლებულია.

წარმოდგენილ ნაშრომში გამოთვლილია ПБП (3 წლის) კომპოზიტური მასალის ცოცვადობაზე გამოცდის შედეგების საფუძველზე შერჩეული გავლენის ფუნქციების შემასწორებელი კოეფიციენტებს შორის განსხვავება, დათვლის გაუმჯობესებული მეთოდის გამოყენებით. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი კვლევის მეთოდი არ მოიცავს მასალის რეოლოგიური თეორიული ფუნქციების პარამეტრების განსაზღვრას. პარამეტრების შერჩევა ხდება გრაფიკების ვიზუალურად დამთხვევის შედეგად.

**მადლიერება:** კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [YS-23-796, კომპოზიტური სივრცითი კონსტრუქციების გაანგარიშების ახალი მეთოდი, ალგორითმი და პროგრამა].

**გამოყენებული ლიტერატურა:**

- [1] - A. Dumbadze, "Mechanics of composite body", Tbilisi, 2015;
- [2] - B. Noton, APPLICATION OF COMPOSITE MATERIALS IN TECHNICS, Volume 3, Moscow "Mechanical Engineering" 1978;
- [3] - B. Abesadze. Comparative analysis of methods for stress calculation for composite skins of aircrafts // Dissertation work. 2019;
- [4] - Bidzina Abesadze. THE PURE BENDING TASK IN CASE OF COMPOSITE ROD BASED ON FOUR-ELEMENT MODEL. Transactions of the VSB – Technical University of Ostrava, Civil Engineering Series (Scopus), 2020;
- [5] - Khmelidze T. Kipiani G. Composite constructions // Georgian Technical University. Tbilisi 2022;
- [6] - B. Abesadze, V. Kelikhashvili, An improved method for determining the parameters of the composite material rheological functions within the framework of the nonlinear theory of deformation // SCIENTIFIC-TECHNICAL JOURNAL, "BUILDING" №3(67), Tbilisi - 2023. ISSN 1512-3936.1

**Determination of the rheological parameters of the material by an improved method on the example of the creep process**

B. Abesadze<sup>1</sup>, S. Kopaliani<sup>2</sup>

<sup>1,2</sup>Georgian Aviation University

Ketevan Dedopali Ave. 16, 0103, Tbilisi, Georgia

**Abstract**

In this work, we discuss an improved methodology for determining the parameters of rheological functions in materials with elastic-plastic properties, using the creep process as an example. This approach is based on the theory of inheritance, where the parameters of the rheological functions are determined by combining graphs ( $A, \alpha$  and  $\beta$ ). Traditionally, these graphs are matched through visual alignment of hand-drawn circles, which is prone to significant human error. The updated methodology presented in this work involves the precise matching of graphs using various computer programs, and their matching is performed using the least squares approach method. During the research process, we utilized an existing database of theoretical graphs of rheological functions and values displayed in tabular form which, although important, contains insufficient information. To expand this database, programs were developed using "Maple," and a methodology was created for the straightforward calculation of complex mathematical problems with numerical methods, by transitioning to the complex plane. Based on experimental data from the existing composite material, the improved matching method was used to calculate correction coefficients that determine the accuracy of the graph matching, and the percentage differences were estimated.



